პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში მდებარე, N28.09.24.462 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების (სასოფლო ამბულატორია) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სატატუსის დამატებითი კატეგორიის სტატუსით ცვლილებისა და მისი სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 121-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 108-ე მუხლის საფუძველზე,

საკრებულო ადგენს

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში მდებარე, N28.09.24.462 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების (სასოფლო ამბულატორია) მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსი შეიცვალოს დამატებითი ქონების კატეგორიის სტატუსით.

2. გადაეცეს უსასყიდლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში მდებარე, N28.09.24.462 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება (სასოფლო ამბულატორია).

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა N4.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.